ახალგაზრდა კომუნისტი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ორგანო

„ХАЛАЛГАЗРДА КОМУНИСТИ“ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА ЛКСМ ГРУЗИИ

გამოცემის 31-ე წელი

№ 33 (6187)

შაბათი

17

მარტი

1956 წ.

ფასი 80 კაპ.

ახალგაზრდა აგიტპატრულთა საპატიო ამოცანა

[illegible]ებენ დროს ხშირად დაიწყეთ დათქმული ადგილისაკენ [illegible] ნახიდით მიმავალ ჭაბუკსა [illegible]შვილს. ხელში მას გაზეთები [illegible]ნალები უჭირავს, ზოგჯერ კი [illegible]ბროშურაც. სახეზე ძომეტ[illegible]ფერი ემჩნევა, გულიც ცოტა [illegible] და უჩქროლავს. მალე მას [illegible] ადგილზე ნახავთ, საითკენაც [illegible]ებოდა, მუხლებზე გაზეთი ან [illegible] გადაუშლია, რუკაც ჩამოუ[illegible] საქმეს შესდგომია, — ირგვ[illegible]ბოკრებილ ახალგაზრდებს ესა[illegible] მსმენელთაგან ზოგი ზის, [illegible] ხელიხელ გადაქმობილნი [illegible]ოს მოყრდნობიან და ასე სულ[illegible]ნი შესცქერიან მოსაუბრეს. [illegible]ორი ახლა ნაკლებად ღელავს, [illegible] და გარკვევით კითხულობს, [illegible] საჭიროა წაკითხულს თავისი [illegible] განმარტავს, ადგილობრივ [illegible]ებსაც ძოიყვანს. შემდეგ [illegible] შეკითხვები, სწორედ აქ [illegible] მას მეტი მოსაზრებულობა, [illegible] მოჰფიწოს ყოველივეს, რაც [illegible]თათვის გაუგებარია, დააკმა[illegible] მათი ცნობისწადილი.

[illegible]მდინარეობს საგიტაციო მუ[illegible]ვრგან და მას თავისი დადე[illegible]ედეგიც აქვს. რესპუბლიკის სა[illegible]ში, კოლმეურნეობებში, მან[illegible]ტორთა სადგურებში, მშე[illegible]ბზე. — ყველგან, სადაც სა[illegible] შრომას ეწევიან ჩვენი ჭა[illegible] ქალიშვილები, — ყოველ[illegible] ათასობით ახალგაზრდა აგი[illegible] პირნათლად ემსახურება თა[illegible]ლშობიერ და საპასუხის[illegible] საქმეს.

[illegible]აგიტატორს დაუშრეტელი მა[illegible]ს საუბრებისათვის. პარტიის [illegible]ლობის ისტორიული გადა[illegible]ებანი, დიდი გეგმები და ამო[illegible]ნმოყალიბებული ყრილობის [illegible]ებში მეექვსე ხუთწლედის შე[illegible] უდიდეს ღონისძიებებს [illegible]ნებენ საბჭოთა კავშირის [illegible]ახალხო მეურნეობის შემდგო[illegible] განვითარებისა და მოსახ[illegible]ცხოვრების დონის მნიშვნე[illegible]ადილებისათვის. აი, ყრილო[illegible]თებათა საფუძველზე პარტიამ [illegible] უკვე კიდეც გადადგეს [illegible]ნბიჯები, რაც გამოიხატა [illegible] მიღებულ დადგენილებებში [illegible]ელ-სამეურნეო არტელის [illegible] და საკოლმეურნეო წარმო[illegible]განიზაციისა და არტელის [illegible]ართველში კოლმეურნეთა ინი[illegible] შემდგომი განვითარების შე[illegible] აგრეთვე კოლმეურნეთათვის [illegible]ურად ავანსების მიცემისა [illegible]ეურნეობებში შრომის დამა[illegible]ალიანურების შესახებ; სა[illegible]ის ხანგრძლივობის შემცი[illegible]ესახებ; საზოგადოებრივი კვე[illegible]ომების გუმშობის გაუმჯო[illegible] ღონისძიებათა შესახებ.

[illegible] რამდენი რამ გაკეთდება [illegible] წლებში საბჭოთა ადამიანე[illegible]ეთდღეოდ, როგორ გარდა[illegible] უფრო აყვავდება და განვ[illegible]ება ჩვენი საყვარელი სოცია[illegible] საშობლო.

[illegible] ახალი და კარგი საქმე გაკეთ[illegible]ექვსე ხუთწლედში საქართველ[illegible] რესპუბლიკაში გაიზრდება [illegible] ქსელი. პრეწველობა მო[illegible]ეფრო მრავალფეროვან და მა[illegible]ლალხარისხოვან პროდუქციას; კიდევ უფრო აყვავდება ჩვენი მრავალფარ[illegible]გოვანი სოფლის მეურნეობა, გადიდდება მარცვლეული, ტექნიკური, სუბ[illegible]ტროპიული და სხვა კულტურების [illegible]ოსავლიანობა, მეცხოველეობის პრო[illegible]დუქტების წარმოება. მთელი რიგი სე[illegible]რიოზული ღონისძიებების გატარება [illegible]არის დასახული მოსახლეობის საყო[illegible]ფაცხოვრებო პირობების გაუმჯობე[illegible]სებისათვის.

სწორედ ხუთწლედისათვის გათვა[illegible]ლისწინებული ამ დიდ გეგმებსა და [illegible]ოცანებს, ამ შესანიშნავ ღონისძიე[illegible]ებებსა და მიზნებს უნდა შეეხებოდეს [illegible] ახლა ახალგაზრდა აგიტატორის პირ[illegible]ელი სიტყვაც. ამ გრანდიოზულ მი[illegible]ზანდასახულობათა განხორციელებით [illegible] მიღწეულ სიკეთეს უნდა ასურათებ[illegible]დეს იგი ყოველ საუბარში და მათი [illegible] შესრულებისათვის საბრძოლველად [illegible] აღანთებდეს თვითეულ კომკავშირელს, [illegible] თვითეულ ჭაბუკს და ქალიშვილს.

[illegible] რესპუბლიკის კომკავშირულმა ორ[illegible]განიზაციებმა და აგიტატორებმა ისე [illegible] უნდა მოაწყონ საქმე, რომ არ დარჩეს [illegible] არცერთი ახალგაზრდა, რომელიც არ [illegible]იცნობდეს მეექვსე ხუთწლედის პერს[illegible]პექტივებს, რომელმაც ღრმად არ იცო[illegible]დეს იმ საშუშაო უბნის ხუთწლიანი [illegible] გეგმა, სადაც იგი ეწევა საქმიანობას. ყველგან განსაკუთრებით [illegible] უნდა იგრძნობოდეს ახლა აგიტატორი. [illegible]ისი ვალი მარტო ის ხომ არ არის, [illegible]რომ წაუკითხოს მსმენელებს გაზეთის [illegible]ესა თუ ის მასალა, ან ერთი-ორი მა[illegible]ალფარდოვანი სიტყვა დასძინოს და [illegible]საიმედოსო აგიტაცია ამით მოათავოს. [illegible]ეს მიზანს ვერ მიაღწევს, ნაყოფს ვერ [illegible]გამოიტანს. აგიტატორს მასზე დაკის[illegible]რებული დავალების მნიშვნელობა [illegible]ეფრო ფართოდ უნდა ესმოდეს. მან [illegible] უნდა ყოველი მასალა ისე მიაწოდოს [illegible] და საუბარიც ისე ჩაუტაროს მსმენ[illegible]ლებს, რომ მისი თვითეული სიტყვა [illegible]ჭაბუკებსა და ქალიშვილებს გულში [illegible]სწვდებოდეს, შრომის ხალისს მატებ[illegible]დეს, ამიტომ დამაჯერებელი და ძარ[illegible]ღვიანი უნდა იყოს ახალგაზრდა აგი[illegible]ტატორის ყოველი სიტყვა.

ახალგაზრდა აგიტატორებმა თავი[illegible]ანთი მნიშვნელოვანი წვლილი უნდა [illegible]შეტანონ XX ყრილობის გადაწყვეტი[illegible]ლებათა შესრულებისათვის ბრძოლაში [illegible]ჩვენი ძალების უფრო მჭიდროდ და[illegible]სარაზმავად.

[illegible] კვლავ არაერთხელ გაუშერება ახა[illegible]ლი ფიქრებით დატვირთული ახალ[illegible]გაზრდა აგიტატორი დანიშნული ადგ[illegible]ილისაკენ, კვლავ ბევრჯერ შემოერტყ[illegible]მან მას ჭაბუკები და ქალიშვილები [illegible] და ყოველი უთრო და უფრო ში[illegible]ნაარსიანი იქნება მათი საუბარი, რად[illegible]გან თვითეული აქ წარმოთქმული [illegible]სიტყვა ახალი ხუთწლედით გათვალის[illegible]წინებულ ბედნიერ მომავალს შეეხება.

[illegible]მეტი ხალისითა და მონდომებით [illegible]მოვიდე, ახალგაზრდა აგიტატორო, [illegible]შენს საპატიო მოვალეობას, მუდამ [illegible]ახსოვდეს, რომ შენი წრფელი და [illegible]მგზნებარე სიტყვაც ჩვენი ახალგა[illegible]ზრდობის კომუნისტური სულისკვე[illegible]თებით აღზრდის ხელშემწყობი ძალა, [illegible]რომ შენი კეთილსინდისიერი, შეგნ[illegible]ებული საქმიანობაც მათს მიერ ახალ[illegible]ახალი შრომითი გამარჯვებების მო[illegible]პოვების ერთერთი მნიშვნელოვანი საწ[illegible]ინდარია!

ვალდებულებები აი ღ ე ს

პარტიის XX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა ახალი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია სიფილ თამაკონის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაში. კომკავშირელები და ახალგაზრდები დადგენენ შრომით ვახტზე, იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი.

რამდენიმე წელია 0,5 ჰექტარ ჩაის პლანტაციას ამუშავებს კომკავშირელი შუშანა ბერია. იგი ჩაის ფოთლის უხვ მოსავალს იღებს. შარშან ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.400 კილოგრამისა მოკრიფა 3.074 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

მოწინავე მეჩაიემ წელს გაპირობებული ნაკვეთი ბეროლონისძიებათა სრული დაცვით დაამუშავა. ამჟამად იგი 6 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიღებას ვარაუდობს.

ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მოყვანისათვის წარმატებით საქმიანობენ ბერეთელ ახალგაზრდები ფ. პირტახია, ზ. ფარცანია, თ. ადამია, თ. სართანია და სხვა მრავალი. თამაკონელი ახალგაზრდები ხაფუძველს უყრიან სიმინდის უხვ მოსავალს, ზრუნავენ მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის. დირსეული წვლილი შეაქვთ პარტიის დავალებათა წარმატებით შესრულებაში.

ქ. ბაბუნია.

გეგეჭკორის რაიონი.

„სლავამ“ წარმატებით დაამთავრა ვეშაპთსახოცი რეწვა

მარტის პირველ რიცხვებში დამთავრდა ანტარქტიკაში წელიწადეულობის რეწვა. ტანკერი „სლავა“ პირადმა შემადგენლობამ ფართოდ გაიარა სოციალისტური შეჯიბრება და წარმატებით შეასრულა ხარეისი დავალება. ამჟამად წარმოება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, აგრეთვე ვეშაპების დათარეა დედოფალ მოლის მიწის ნაპირებთან. გზადაგზა წარმოებს კამელატების რეწვა. ანტარქტიკაში ტანკერ „ლენინგრადის“ ჩასვლის შემდეგ, რომელიც სათბობს ჩაიტანს, საბჭოთა ვეშაპმცოცი ფლოტილია დატოვებს ანტარქტიკის წყლებს და ატლანტიკის ოკეანის საშრეტო ნაწილში შეუდგება თევზის ექსპერიმენტულ ჭერას.

(საკვლევი).



სნაველობენ პარტიის XX ყრილობის მასალებს

ფოთი, 16 მარტი. (საქკანი). პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტმა მოაწყო პროპაგანდისტთა და კონსულტანტთა სემინარები, რომელზეც განმარტათ, თუ როგორ ჩაატარონ ყრილობის მასალების პროპაგანდა.

ქალაქის მშრომელები დიდი ინტერესით სწავლობენ პარტიის XX ყრილობის მასალებს, ამხანაგების ნ. ს. ხრუშჩოვისა და ნ. ა. ბულგანინის მოხსენებებს ყრილობაზე. 1.400-მდე აგიტატორი განუმარტავს მათ ამოცანებს, რომლებიც გამომდინარეობენ მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XX ყრილობის დირექტივებიდან. აგიტატორები თავის საუბრებს მჭიდროდ უკავშირებენ ადგილობრივ პრაქტიკულ ამოცანებს.

სწარმო-დაწესებულებებში ეწყობა ლექცია-მოხსენებები თემებზე: „საზღვაო ტრანსპორტი მეექვსე ხუთწლედში“, „მშრომელთა მატერიალური დონის ამაღლება მეექვსე ხუთწლედში“ და სხვ. პარტიულ ბიბლიოთეკებში, კლუბებში მოწყობილია ყრილობის მასალების გამოფენები.

თბილისის მშრომელთა საერთო კრებები. მიძღვნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მუშაობის შედეგებისადმი

თბილისში იმართება სწარმო-დაწესებულებათა, სასწავლებელთა კოლექტივების საერთო კრებები, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მუშაობის შედეგებისადმი. კრებებზე მოხსენებებს აკეთებენ ყრილობის დელეგატები.

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კოლექტივის საერთო კრებაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XX ყრილობის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. დ. ჩუბინიძემ. პარტიის XX ყრილობის მუშაობისა და გადაწყვეტილებათა შესახებ მოხსენება გააკეთეს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა მ. პ. გიორგაძემ, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში — საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. სუხნიშვილმა, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოში—საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მ. ი. კუპავამ, ლოკომოტივშემკეთებელ ქარხანაში — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსმა დ. გ. მამაკაშვილმა, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში — შექანიკური საამქროს ხარტაკი ი. დ. ჯუმბურიძემ და სხვებმა.

კრებები დიდი აქტივობით მიმდინარეობს. კრებების მონაწილენი თავიანთ გამოსვლებსა და მიღებულ რეზოლუციებში მხურვალედ იწონებენ და მიესალმებიან კომუნისტური პარტიის ბრძნულ სამინაო და საგარეო პოლიტიკას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადწყვეტილებებს, რომლებიც საბჭოეთ ხალხის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი ღონისძიებისა და აყვავების, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, მთელი ქვეყნიერების მშვიდობის განმტკიცების ახალ დიდებულ პროგრამას. მშრომელები ერთხმად აცხადებენ, რომ მზად არიან თავდადებით იბრძოლონ, რათა განხორციელდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადწყვეტილებანი, ვადამდე შესრულდეს მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დავალებანი.

კრებები იქცეს კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, საბჭოთა მთავრობის გარშემო საქართველოს მშრომელთა ურღვევი დაჯაჭვულობის მკაფიო დემონსტრაციად.

(საქკანი).

„ლენინგრადი“ ჩავიდა ანტარქტიკაში

ანტარქტიკა, 15 მარტი. (საქინფორმი). ანტარქტიკაში ჩასულ ტანკერ „ლენინგრადს“ ბორტზე ასდიოდა ალმასისფერ-ოქროსფერ ბაირაღი. ეს ბაირაღი ანტარქტიკაში ჩასულ ტანკერ „ლენინგრადს“ ჩაბარებული ჰქონდა ანტარქტიკაში ჩასულ ტანკერ „ბელინგსჰაუზენის“ ეკიპაჟისაგან, ანტარქტიკაში ჩასულ ტანკერ „ბელინგსჰაუზენ

თბილისის მშრომელთა საერთო კრებები, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მუშაობის შედეგებისადმი

თბილისში იმართება საწარმო-დაწესებულებათა, სასწავლებელთა კოლექტივების საერთო კრებები, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მუშაობის შედეგებისადმი. კრებებზე მოხსენებებს აკეთებენ ყრილობის დელეგატები.

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კოლექტივის საერთო კრებაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XX ყრილობის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. დ. ჩუბინიძემ. პარტიის XX ყრილობის მუშაობისა და გადაწყვეტილებათა შესახებ მოხსენება გააკეთეს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა მ. პ. გიორგაძემ, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში — საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. სეხნიაშვილმა, ტრამვაიტროლეიბუსის სამმართველოში—საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მ. ი. კუჭავამ, ლოკომოტივშემკეთებელ ქარხანაში — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსმა დ. გ. მამაცაშვილმა, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში — მექანიკური საამქროს ხარატმა ი. დ. ჭუმბურიძემ და სხვებმა.

კრებები დიდი აქტივობით მიმდინარეობს. კრებების მონაწილენი თავიანთ გამოსვლებსა და მიღებულ რეზოლუციებში მხურვალედ იწონებენ და მიესალმებიან კომუნისტური პარტიის ბრძნულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც სახავენ ჩვენი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისა და აყვავების, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების ახალ დიდებულ პროგრამას. მშრომელები ერთსულოვნად აცხადებენ, რომ მზად არიან თავდადებით იბრძოლონ, რათა განხორციელდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი, ვადამდე შესრულდეს მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დავალებანი.

კრებები იქცევა კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, საბჭოთა მთავრობის გარშემო საქართველოს მშრომელთა ურღვევი დარაზმულობის მკაფიო დემონსტრაციად.

(საქდესი).

პროპაგანდისტული მუშაობა შემოქმედებითი საქმეა. წარმატება პოლიტქსელში ძირითადად დამოკიდებულია პროპაგანდისტზე, მის უნარსა და მომზადებაზე

ერთი საქმის ორი მხარე

როცა სოფელ ზანის ედანოვის სახელობის კოლმეურნეობის მაღალ შრომით მაჩვენებლებზე ლაპარაკობენ, აუცილებლად მოიხსენიებენ პარტიის ისტორიის შემსწავლელი პოლიტწრის პროპაგანდისტ გ. ხურცილავას. მერედა რატომ? იმიტომ, რომ მან კარგად იცის, არ კმარა განმარტო რას ნიშნავს კომუნიზმი, საჭიროა მთავარი ყურადღება მიექცეს შემოქმედებითი შრომის გაჩაღებისათვის მასების დარაზმვას. ამ საქმეში კი მარტო წიგნების კითხვით ხომ ვერ შემოიფარგლები.

პროპაგანდისტი დაეუფლა წარმატების მოპოვების „საიდუმლოებას“. იგი მეცადინეობას უკავშირებს თანამედროვეობას, უხვად მოჰყავს ცოცხალი ფაქტები. ამისათვის გ. ხურცილავამ კარგად შეისწავლა მშობლიური კოლმეურნეობის ეკონომიკა. არც ამით დაკმაყოფილდა, რადგანაც ბოლიტწრეში სოფლის ტერიტორიაზე განლაგებულ დაწესებულებათა ახალგაზრდობაც სწავლობდა. პროპაგანდისტმა საჭიროდ ჩათვალა მათი საქმიანობის ავკარგიც გაეგო.

მონდომებულმა მუშაობამ სასურველი შედეგი გამოიღო. მეცადინეობაზე საგრძნობი ადგილი ეთმობა ახალგაზრდობის შრომით საქმიანობას. ანზოგადებენ მოწინავეთა გამოცდილებას, ახალგაზრდებს მოუთხრობენ კოლმეურნეობაში ვ. ბოჯგუასა და რ. ვარდიას სახელგანთქმული რგოლების ბეჯითი მუშაობის შესახებ. მარტო წარმატებებზე როდი ლაპარაკობენ. როცა მ. ტყებუჩავას ბრიგადამ გეგმა ვერ შეასრულა, მეცადინეობაზე გაარკვიეს ჩამორჩენის მიზეზები, შეარცხვინეს ზარმაცები.

პროპაგანდისტის საუბარს იმიტომაც აქვს ფასი, რომ თვითონაც, თუმცა მასწავლებელია, ჩაის პლანტაციებზე მუყაითი შრომის მაგალითებს იძლევა.

კარგად მომზადებული რომ წარსდგეს აუდიტორიის წინაშე, გ. ხურცილავა დიდ ყურადღებას აქცევს პირველწყაროებს, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომების შესწავლას, სისტემატურად ესწრება და აქტიურად მონაწილეობს პარტიის რაიკომთან შექმნილ პროპაგანდისტთა სემინარში. ამასთან ცდილობს საუბარი ცოცხალი, გასაგები ენით წარმართოს: მოჰყავს მაგალითები კინოფილმებიდან, მხატვრული ლიტერატურიდან.

მეცადინეობა განსაკუთრებული აქტიურობით ამ უკანასკნელ ხანებში მიმდინარეობს, როცა დაიწყეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მასალების შესწავლა.

პროპაგანდისტმა ჯერ გადაწყვიტა ცალცალკე ჩაეტარებინა მეცადინეობა მოხსენებებსა და მათ გამო გამართული კამათის მონაწილეების — სკკპ ცკ-ას პრეზიდიუმის წევრთა გამოსვლებზე, მაგრამ შემდეგ ამჯობინა მთელი ყურადღება ნ. ს. ხრუშჩოვისა და ნ. ა. ბულგანინის მოხსენებებისათვის დაეთმო და მათში განხილული საკითხების გასალრმავებლად გამოეყენებინა დელეგატების გამოსვლები.

პირველი მეცადინეობანი მოწმობს სოფლის ჭაბუკებისა და ქალიშვილების დიდ ინტერესს სკკპ XX ყრილობის მასალებისადმი, მათ მზადყოფნას იბრძოლონ პარტიის დიად მიზანდასახულობათა პირნათლად შესრულებისათვის.

შეუძლებელია ინტერესით არ მოვუსმინოთ რაიონის კავშირგაბმულობის განყოფილებაში არსებული პარტისტორიის შემსწავლელი კომკავშირული პოლიტწრის პროპაგანდისტ ე. კოდუას.

ე. კოდუას საუბარი არ ატარებდა პრაქტიკიდან მოწყვეტილ, წმინდა თეორიულ ხასიათს. როცა ლაპარაკობდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური აღმავლობის შესახებ, საბჭოთა ხალხის წინაშე დასახულ გრანდიოზულ ამოცანებზე, მხედველობიდან არ გამორჩენია ყურადღება გაემახვილებინა ცხაკაიას რაიონის კავშირგაბმულობის განყოფილების მოწინავე მუშაკთა შრომაზე.

ახალგაზრდები მთელი გულისყურით უსმენდნენ პროპაგანდისტს. ამ დღეს მათთვის ფუჭად არ ჩაუვლია, გაიფართოეს ცოდნის ჰორიზონტი, გადაწყვიტეს კიდევ უფრო მეტი ენერგიით მოეკიდათ საქმისათვის ხელი.

მთელი პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას საქვაჭრობის რაიგანყოფილების კომკავშირული პოლიტქსელის პროპაგანდისტი მ. მიხანაშვილი. დიდი ხანი არ არის, რაც მან სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა და მუშაობა ცხაკაიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში დაიწყო. კომკავშირის რაიკომში გამოუძახეს, პროპაგანდისტად უნდა იმუშაოვო. დათანხმდა. მაგრამ უკვე პირველმა მეცადინეობამ შეაფიქრიანა — პროპაგანდისტობა მეტად რთული და თავისებური სამუშაო აღმოჩნდა. მ. მიხანაშვილმაც ენერგია და მონდომება არ დაიშურა, რომ კარგად დაუფლებოდა ახალ საქმეს.

ცხაკაიას რაიონის კომკავშირულ პოლიტქსელში ცოტა როდია მონდომებული პროპაგანდისტი. ისინი მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებიან საქმეს, იმაღლებენ იდეურ-პოლიტიკურ დონეს, საინტერესოდ წარმართავენ მეცადინეობას. ეს წარმატებანი კომკავშირის რაიკომის დახმარების გარეშე როდია მოპოვებული. რაიკომის მდივნები ვ. ეჯიბია და კ. განგია, ინსტრუქტორი ო. ალანია ხშირად ესწრებიან მეცადინეობას, აძლევენ საქმიან მითითებას პროპაგანდისტებს, ადგილზე პრაქტიკულ დახმარებას უწევენ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ წარმატებათა მიღმა სერიოზული ნაკლოვანებანიც იმალება.

თუ გადავხედავთ პროპაგანდისტთა სემინარის მუშაობის აღრიცხვის ჟურნალს, მაშინვე თვალში გეცემათ არტელ „გაერთიანების“ პარტიის ისტორიის შემსწავლელი პოლიტწრის ხელმძღვანელის ლ. ჯანჯღავას გვარი. იგი ხშირად აცდენს მეცადინეობას. მაგრამ არც მაშინ იწუხებს თავს, როცა სემინარზე დასწრებას მოისურვებს: მოწმესავით ზის, უსიამოვნოდ იშმუშნება, ოცნებობს ჩქარა დამთავრდეს მეცადინეობა. ცხადია, ასეთი განწყობილებით საქმისადმი მიდგომა კარგ შედეგს არ გამოიღებს. ასეც არის.

— ჩემი მსმენელები როგორ შრომობენ? არა უშავს, მეცადინეობას ესწრებიან, სწავლობენ, თუმცა ზოგი ზარმაცობს, გვიპასუხებს ლ. ჯანჯღავა შეკითხვაზე. ჩვენ კი ამჟამად გვაინტერესებდა მსმენელთა შრომითი საქმიანობა, რაზეც პროპაგანდისტს ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს. იგი არ იცნობს არტელის ეკონომიკას, მის წარმატებებს, ნაკლოვანებებს. ერთხელ, როგორღაც, კომკავშირის კრებას დაესწრო — საწარმოო გეგმების შესრულებაზე მსჯელობდნენ. ლ. ჯანჯღავას ჰქონდა შესაძლებლობა ახლა მაინც ჩაწვდომოდა საქმეს, მაგრამ ზედმეტად ჩათვალა. სწორედ ამიტომ მის მიერ ჩატარებული მეცადინეობა არ არის ქმედითი, დამრაზმველი, მოწყვეტილია თანადროულობას. სამწუხაროდ, პროპაგანდისტი არც თეორიაში ბრწყინავს, არ ერკვევა მთელ რიგ ელემენტარულ საკითხებში.

არტელში შექმნილია სხვა კომკავშირული პოლიტწრეც, მაგრამ საქმე არც აქ ჩქეფს. პროპაგანდისტი მ. ცეკვავა არ აკავშირებს მეცადინეობას არტელის ახალგაზრდობის წინაშე დასახულ ამოცანებთან, ცუდად ფლობს საპროგრამო მასალას.

ადგილმრეწველობასთან არსებული პოლიტწრის ცუდ მუშაობას აქ მსმენელთა სიზარმაცეს მიაწერენ, ზოგი იმასაც ამბობს, კომკავშირის კომიტეტის მოუქნელი მუშაობის ბრალიაო. შეიძლება ორივე აზრი სწორი იყოს, მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც სხვაგან უნდა ვეძებოთ. მეცადინეობის ცენტრალური ფიგურა პროპაგანდისტია და სწორედ ა. ქარჩავას უუნარობით უნდა აიხსნას პოლიტწრის მუშაობა. იგი ვერ ერკვევა მთელ რიგ საკითხებში, არ მუშაობს თავის თავზე, რაც მეტად სავალალო შედეგებს იძლევა. ერთი საგულისხმო კურიოზი. მისი აზრით, ჩვენს ქვეყანაში მუშათა კლასსა და გლეხთა შორის კავშირის განმტკიცებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა ატომის ენერგიის აღმოჩენამ და მშვიდობისათვის ბრძოლამ. აქვე უნდა აღინიშნოს ქალაქის საბჭოს აღმასკომის პოლიტწრის პროპაგანდისტ ვ. ხუბუაზე, რომელიც მეტად დაბალ იდეურ დონეზე აწყობს მეცადინეობას.

ნაკლოვანებანი, როგორც ვხედავთ, მართლაც სერიოზულია და ამაში უწინარეს ყოვლისა თვითონ პროპაგანდისტები არიან დამნაშავენი. მაგრამ ეს პასუხისმგებლობას როდი უხსნის რაიკომის მუშაკებს. ისინი მეტი მონდომებით უნდა მოკიდებოდნენ საქმეს, მჭიდრო კონტაქტი დაემყარებინათ ყველა პროპაგანდისტთან, ქმედითი დახმარება გაეწიათ მათთვის. რასაკვირველია, მაშინ შედეგიც უკეთესი იქნებოდა. კომკავშირის ცხაკაიას რაიკომმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ რაციონალურად გამოიყენოს სასწავლო წლის დამთავრებამდე დარჩენილი დრო. აღმოფხვრას ნაკლოვანებანი პოლიტქსელის მუშაობაში.

ო. მაისურაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ცხაკაიას რაიონი.

როცა ხელმძღვანელობა მოდუნებულია

პროპაგანდისტი ლეონიდ ხარებოვი მიესალმა შეკრებილთ, შეამოწმა მსმენელების დასწრება და სამხრეთ ოსეთის სახელგამის სტამბის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის პოლიტსკოლაში მორიგი მეცადინეობა დაიწყო. თავდაპირველად პროპაგანდისტმა საშინაო დავალების შესრულება შეამოწმა. ა. კოჩიევამ, ა. ბეკოევმა და სხვებმა დამაჯერებლად ილაპარაკეს პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანების შესახებ, საბჭოთა სახელმწიფოს ფუნქციებზე, მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, საბჭოების დიდ როლზე.

ლ. ხარებოვმა დამატებითი კითხვებით გაარკვია მსმენელთა მიერ თემის ათვისება და გადავიდა ახალი მასალის ახსნაზე. პოლიტსკოლის მეცადინეობამ საინტერესოდ, საქმიან ვითარებაში ჩაიარა.

ასევე მაღალ იდეურ დონეზე მიმდინარეობს მეცადინეობა სტალინირის ჩვილ ბავშვთა სახლის კომკავშირულ პოლიტწრესა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო ანსამბლის კომკავშირულ პოლიტსკოლაში. პროპაგანდისტები გ. ღვდლიაშვილი და ო. გასიევი საუბარს მჭიდროდ უკავშირებენ ადგილობრივ ცხოვრებას, უნარიანად სარგებლობენ თვალსაჩინოებით, მხატვრული ლიტერატურით.

სამწუხაროდ, ქალაქის კომკავშირული პოლიტწრეების დიდი ნაწილი არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. პროპაგანდისტი ი. დუდაევი 11 იანვარს მეცადინეობაზე ამაოდ ელოდებოდა არტელ „წითელი ოქტომბრის“ ახალგაზრდებს — კომკავშირული ორგანიზაციის მდივნის გ. ხალაძის გარდა არავინ გამოცხადდა. იგი პროპაგანდისტს მორიგ მეცადინეობაზე, 18 იანვრისათვის, ყველა მსმენელის დასწრებას შეპირდა, მაგრამ... თვითონაც არ გამოცხადდა. მას შემდეგ აქ მეცადინეობა აღარ ჩატარებულა.

სტალინირში სულ 8 კომკავშირული წრე და პოლიტსკოლაა შექმნილი. ქალაქკომს შეეძლო უზრუნველეყო ისინი კვალიფიციური პროპაგანდისტებით, მაგრამ ამ საქმეს რატომღაც არ მიექცა ჯეროვანი ყურადღება. ზოგან პროპაგანდისტებად დამტკიცებულ იქნენ ისეთი ამხანაგები, რომლებსაც მუშაობისადმი არავითარი მიდრეკილება არა აქვთ.

პროპაგანდისტული კადრებისადმი ასეთმა ზერელე დამოკიდებულებამ მალე იჩინა თავი. სატყეო კომბინატის კომკავშირულ პოლიტსკოლაში მეცადინეობათა ცუდად ჩატარებისათვის საქალაქო კომიტეტი იძულებული გახდა პროპაგანდისტობიდან გათავისუფლებინა ნ. ბაკაევი. მაგრამ ქალაქკომმა უყურადღებობა გამოიჩინა მსგავს მდგომარეობაში მყოფი სხვა ორგანიზაციებისადმი.

ქალაქის სამრეწველო კომბინატის კომკავშირული პოლიტსკოლის პროპაგანდისტი ა. ბაბაევი უპასუხისმგებლობას იჩენს დაკისრებული მოვალეობისადმი, ხშირად ყოველგვარი მომზადების გარეშე ცხადდება მეცადინეობაზე, არ ცდილობს პროპაგანდისტული ოსტატობის ამაღლებას. მისი საუბარი მოკლებულია დამაჯერებლობას.

ზოგან ცუდი მუშაობის მიზეზია არასწორი დაკომპლექტება, პოლიტიკური სწავლების ფორმის არჩევაში ნებაყოფლობითი პრინციპის დარღვევა. არტელ „წითელი ოქტომბრის“ კომკავშირულ ორგანიზაციასთან არსებული ვ. ი. ლენინის ბიოგრაფიის შემსწავლელი წრის მსმენელები ზ. ბესტაევა, ვ. თავდტაევა, თ. ჯიოევა და გ. ბესტაევა, რომლებსაც ქართული ენის უცოდინარობის გამო სწავლა არ შეუძლიათ, სურვილის წინააღმდეგ ჩააბეს წრეში.

ქალაქის ბევრმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ მიიგიწყა პოლიტიკურ თვითგანათლებაზე მომუშავეთა მიმართ ხელმძღვანელობა. ასე ითქმის ხეხილსანერგის, ბავშვთა კონსულტაციის, სანიტარული სადგურისა და ქალაქის მთელი რიგი სხვა პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების შესახებ. პოლიტიკური სწავლების ამ ფორმაში ჩაბმულია 233 კომკავშირელი, მაგრამ მათდამი კონტროლის უქონლობის გამო უმეტესობა არაფერს აკეთებს, ხოლო საქალაქო კომიტეტი დღემდე ურიგდება შექმნილ მდგომარეობას.

ბევრი კომკავშირელი არასწორად არის შეტანილი პოლიტიკურ თვითგანათლებაზე მომუშავეთა სიებში. ბავშვთა კონსულტაციიდან კომკავშირელი თ. კოდოევა მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტის მსმენელია, სანსადგურიდან მ. ჯიოევა საღამოს სკოლაში სწავლობს. მიუხედავად ამისა, ისინი წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა სიებში ირიცხებიან. დიდი ნაკლია ისიც, რომ საქალაქო კომიტეტს დღემდე არ უზრუნვია პოლიტიკურ თვითგანათლებაზე მომუშავე ახალგაზრდობის დასახმარებლად კონსულტანტების გამოყოფაზე.

კომკავშირის ქალაქკომის მუშაკები პოლიტწრეების იშვიათი სტუმრებია. ახალგაზრდობის პოლიტიკური სწავლების საკითხებზე იშვიათად მსჯელობს ქალაქკომის ბიურო და მაშინაც პირველადი კომკავშირული ორგანიზაციებისადმი ცოცხალ, პრაქტიკულ დახმარებას დადგენილებების ამონაწერების დაზგავნით ცვლის.

ამჟამად კომკავშირული პოლიტქსელი უკვე გადავიდა სკკპ XX ყრილობის მასალების შესწავლაზე. ქალაქის კომკავშირული ორგანიზაციების მოვალეობაა ყველაფერი გააკეთონ, რომ ყოველმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა ღრმად შეისწავლოს ყრილობის ისტორიული დოკუმენტები, საქმით აჩვენონ თავიანთი უსაზღვრო ერთგულება მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი.

ზ. თედეევი.